საქართველოს მთავრობის

დადგენილება №201

2017 წლის 21 აპრილი

ქ. თბილისი

საჯარო სამსახურში ნახევარ განაკვეთზე მუშაობის, ღამის საათებში, დასვენებისა და უქმე დღეებში, ჯანმრთელობისთვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობის, აგრეთვე საჯარო სამსახურის უფლებამოსილებების 24-საათიან უწყვეტ რეჟიმში განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 აგვისტოს დადგენილება №513 – ვებგვერდი, 20.08.2020წ.

მუხლი 1

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 61-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული „საჯარო სამსახურში ნახევარ განაკვეთზე მუშაობის, ღამის საათებში, დასვენებისა და უქმე დღეებში, ჯანმრთელობისთვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობის, აგრეთვე საჯარო სამსახურის უფლებამოსილებების 24-საათიან უწყვეტ რეჟიმში განხორციელების წესი“.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 აგვისტოს დადგენილება №513 – ვებგვერდი, 20.08.2020წ.

მუხლი 2

დადგენილების მოქმედება არ ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული საჯარო დაწესებულებების მოსამსახურეებზე.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**

საჯარო სამსახურში ნახევარ განაკვეთზე მუშაობის, ღამის საათებში, დასვენებისა და უქმე დღეებში, ჯანმრთელობისთვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობის, აგრეთვე საჯარო სამსახურის უფლებამოსილებების 24-საათიან უწყვეტ რეჟიმში განხორციელების წესი

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 აგვისტოს დადგენილება №513 – ვებგვერდი, 20.08.2020წ.

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მოქმედების სფერო

საჯარო სამსახურში ნახევარ განაკვეთზე მუშაობის, ღამის საათებში, დასვენებისა და უქმე დღეებში, ჯანმრთელობისთვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობის, აგრეთვე საჯარო სამსახურის უფლებამოსილებების 24-საათიან უწყვეტ რეჟიმში განხორციელების წესი (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს საჯარო სამსახურში ნახევარ განაკვეთზე, ღამის საათებში, დასვენებისა და უქმე დღეებში, ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში, აგრეთვე საჯარო სამსახურის უფლებამოსილებების 24-საათიან უწყვეტ რეჟიმში მომუშავე პროფესიული საჯარო მოხელის (შემდგომში – მოხელე) უფლებებს, მოვალეობებსა და აღნიშნულ პირობებში საქმიანობის პროცედურულ საკითხებს.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 აგვისტოს დადგენილება №513 – ვებგვერდი, 20.08.2020წ.

მუხლი 2. წესის მიზანი

ამ წესის მიზანია, დაცულ იქნეს ნახევარ განაკვეთზე, ღამის საათებში, დასვენებისა და უქმე დღეებში, ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში დასაქმებულ მოხელეთა უფლებები და განისაზღვროს საჯარო სამსახურში ნახევარ განაკვეთზე, ღამის საათებში, დასვენებისა და უქმე

დღეებში, ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში, აგრეთვე საჯარო სამსახურის უფლებამოსილებების 24-საათიან უწყვეტ რეჟიმში საქმიანობის პროცედურები.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 აგვისტოს დადგენილება №513 – ვებგვერდი, 20.08.2020წ.

მუხლი 3. პრინციპები

ეს წესი ეფუძნება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ პრინციპებს.

მუხლი 4. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ნახევარ განაკვეთზე მუშაობა** – სამუშაო, რომლის ხანგრძლივობა ნაკლებია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ სამუშაო დროის ხანგრძლივობაზე, მაგრამ არ უნდა იყოს დღეში 4 საათზე ნაკლები;

ბ) **ღამის საათებში მუშაობა** – სამუშაო, რომელშიც მოხელე დასაქმებულია 22:00 საათიდან 06:00 საათამდე და რომლის ხანგრძლივობაც არ აღემატება 7 საათს, გარდა ამ წესის მე-19 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა;

გ) **დასვენებისა და უქმე დღეები** – საქართველოს ორგანული კანონით – საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრული დასვენების დრო და უქმე დღეები;

დ) **ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველი სამუშაო პირობები** – სამუშაო პირობები, გარემო ან/და სამუშაოს სპეციფიკა, რომელიც საფრთხის მატარებელია ადამიანის ჯანმრთელობისათვის და განსაზღვრულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით.

2. წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონითაა განსაზღვრული.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 აგვისტოს დადგენილება №513 – ვებგვერდი, 20.08.2020წ.

თავი II

ნახევარ განაკვეთზე მუშაობა

მუხლი 5. ნახევარ განაკვეთზე მუშაობა

1. ნახევარ განაკვეთზე მუშაობის უფლება შეიძლება მიეცეს მოხელეს ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, 1 წლამდე ასაკის ბავშვის აღზრდის, აგრეთვე ორსულობის პერიოდში, მისივე მოთხოვნის საფუძველზე.

2. ნახევარ განაკვეთზე გადაყვანილი მოხელის სამუშაო დროის ხანგრძლივობა განისაზღვრება საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის ან საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ, რაც არ უნდა იყოს დღეში 4 საათზე ნაკლები.

მუხლი 6. ნახევარ განაკვეთზე მოხელის გადაყვანის წესი

1. ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობების არსებობის შემთხვევაში, მოხელე დასაბუთებული წერილობითი განცხადებით მიმართავს საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელს ნახევარ განაკვეთზე გადაყვანის მოთხოვნით.

2. მოხელის წერილობით განცხადებას უნდა დაერთოს ნახევარ განაკვეთზე გადაყვანის მოთხოვნის საფუძვლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მაგალითად: საავადმყოფო ფურცელი და სხვა).

3. საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი ან/და საამისოდ უფლებამოსილი პირი განიხილავს განცხადებას და იღებს გადაწყვეტილებას მოხელის ნახევარ განაკვეთზე გადაყვანის ან/და მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

მუხლი 7. ნახევარ განაკვეთზე ყოფნის პერიოდი

მოხელე ნახევარ განაკვეთზე მუშაობს:

ა) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებამდე, რაც შესაბამისად დასტურდება სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული დასკვნით;

ბ) ბავშვის 1 წლის ასაკის მიღწევამდე;

გ) მოხელე ქალის შემთხვევაში – მშობიარობამდე;

დ) მოხელის მიერ ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების აღებამდე.

მუხლი 8. ნახევარ განაკვეთზე მყოფი მოხელის უფლებები

1. ნახევარ განაკვეთზე მყოფ მოხელეს უნარჩუნდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებები, გარანტიები და მოვალეობები.

2. ნახევარ განაკვეთზე მყოფი პირების შესახებ ინფორმაცია საჯარო დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის მიერ აისახება ადამიანური რესურსების მართვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

მუხლი 9. ნახევარ განაკვეთზე მომუშავე მოხელის შრომის ანაზღაურება

ნახევარ განაკვეთზე მუშაობის ანაზღაურების პირობები განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით.

თავი III

ღამის საათებში მუშაობა

მუხლი 10. ღამის საათებში მუშაობა

1. საჯარო დაწესებულების საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია, საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით დაწესდეს ღამის საათებში მუშაობა.

2. მოხელე ღამის საათებში მომუშავედ ითვლება, თუ იგი ღამის საათებში მუშაობს 22:00 საათიდან 06:00 საათამდე, გარდა ამ წესის მე-19 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

3. ღამის საათებში მოხელის სამუშაო პერიოდის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 7 საათს.

4. ღამის საათებში მომუშავე მოხელეს ეძლევა ერთსაათიანი შესვენება, რომელიც ითვლება სამუშაო დროში.

5. მოხელე, რომელიც მუშაობს ღამის საათებში, თავისუფლდება მორიგეობის მომდევნო სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მორიგეობის მომდევნო დღე დასვენების ან უქმე დღეა, მოხელე სამსახურში გამოდის მომდევნო სამუშაო დღეს.

6. საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის გადაწყვეტილებაში ღამის საათებში მუშაობის დაწესების შესახებ უნდა იქნეს განსაზღვრული ღამის საათებში მუშაობის განრიგი, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ამ წესით დადგენილ ვადებს.

მუხლი 11. ღამის საათებში სამუშაოდ მოხელის გადაყვანა

1. ღამის საათებში სამუშაოდ მოხელე შესაძლებელია გადაყვანილ იქნეს დაწესებულების ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით ან/და მოხელის განცხადების საფუძველზე.

2. ღამის საათებში მოხელის გადაყვანა შესაძლებელია მხოლოდ მისი წერილობითი თანხმობით.

მუხლი 12. ღამის საათებში მუშაობის განრიგი და მომუშავე მოხელის უფლებები

1. საჯარო დაწესებულებაში ღამის საათებში მუშაობის განრიგს შეიმუშავებს ადამიანური რესურსების მართვის ერთეული და დასამტკიცებლად წარუდგენს საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელს.

2. ღამის საათებში სამუშაოდ გადაყვანილი მოხელეების შესახებ ინფორმაციას ადამიანური რესურსების მართვის ერთეული ასახავს ადამიანური რესურსების მართვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

3. ღამის საათებში მომუშავე მოხელეს უნარჩუნდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებები, გარანტიები და მოვალეობები.

მუხლი 13. ღამის საათებში მუშაობის დანამატი

1. მოხელეს ღამის საათებში მუშაობისათვის ეძლევა კანონით განსაზღვრული სახელფასო დანამატი.

2. მოხელის ღამის საათებში მუშაობისათვის სახელფასო დანამატის საერთო ოდენობა განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით.

თავი IV

დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობა

მუხლი 14. დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობა

დასვენებისა და უქმე დღეებში საჯარო დაწესებულებაში ყოფნის პირობები და წესი განისაზღვრება საჯარო დაწესებულების შინაგანაწესით.

მუხლი 15. დასვენებისა და უქმე დღეებში მოხელისთვის მუშაობის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი

დასვენებისა და უქმე დღეებში მოხელისთვის მუშაობის დაკისრების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს მოხელის ზემდგომი თანამდებობის პირის წერილობითი დავალება.

მუხლი 16. დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობის დანამატი

1. მოხელეს დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობისათვის ეძლევა კანონით განსაზღვრული სახელფასო დანამატი.

2. მოხელის დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობისათვის სახელფასო დანამატის საერთო ოდენობა განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით.

თავი V

ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში მუშაობა

მუხლი 17. ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში მუშაობა

1. საჯარო დაწესებულება ვალდებულია, მინიმუმამდე დაიყვანოს ჯანმრთელობისთვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში მომუშავე მოხელეთა რაოდენობა.

2. ჯანმრთელობისთვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებზე მოხელის გადაყვანა წარმოადგენს უკიდურეს ზომას და აუცილებლობის არსებობის გარეშე დაუშვებელია.

მუხლი 18. ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში მოხელის სამუშაოდ გადაყვანის წესი

1. ჯანმრთელობისთვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში მოხელის გადაყვანა შესაძლებელია დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

2. ჯანმრთელობისთვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში მოხელის გადაყვანა შესაძლებელია მხოლოდ მისი წერილობითი თანხმობით.

3. ჯანმრთელობისთვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში გადაყვანილ მოხელეს უნდა მიეცეს სრულყოფილი ინფორმაცია მისი ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველი გარემოებებისა და ფაქტორების შესახებ.

4. დაუშვებელია მოხელის გადაყვანა ჯანმრთელობისთვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში სპეციალური მოსამზადებელი კურსის გატარების გარეშე.

5. საჯარო დაწესებულების მიერ შესაძლებელია, განისაზღვროს ჯანმრთელობისთვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებზე ზედამხედველი/პასუხისმგებელი პირი, რომლის უფლებამოსილება განისაზღვრება საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებით.

თავი VI

საჯარო სამსახურის უფლებამოსილებების 24-საათიან უწყვეტ რეჟიმში განხორციელება

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 აგვისტოს დადგენილება №513 – ვებგვერდი, 20.08.2020წ.

მუხლი 19. საჯარო სამსახურის უფლებამოსილებების 24-საათიან უწყვეტ რეჟიმში განხორციელება

1. საჯარო სამსახურში, რომელიც უფლებამოსილებებს ნაწილობრივ ან სრულად ახორციელებს 24-საათიან უწყვეტ რეჟიმში, შესაძლებელია, დადგინდეს ცვლაში მუშაობის განრიგი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში (გარდა იმ საჯარო დაწესებულებისა/საჯარო დაწესებულების სტრუქტურული ერთეულისა, რომლის საქმიანობა მიეკუთვნება საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის დარგს), მოხელის სამუშაო დღის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 8 საათს.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 აგვისტოს დადგენილება №513 – ვებგვერდი, 20.08.2020წ.

მუხლი 20. მოხელის უფლებები, რომელიც უფლებამოსილებებს ახორციელებს 24-საათიან უწყვეტ რეჟიმში და ცვლიანობის განრიგი

1. საჯარო სამსახურში, რომელიც უფლებამოსილებებს ახორციელებს 24-საათიან უწყვეტ რეჟიმში, ცვლაში მუშაობა და ერთი ცვლიდან მეორეში გადასვლა განისაზღვრება ცვლიანობის განრიგით. საჯარო დაწესებულების ცვლიანობის განრიგს შეიმუშავებს ადამიანური რესურსების მართვის ერთეული და დასამტკიცებლად წარუდგენს საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელს ან სხვა უფლებამოსილ პირს.

2. სამუშაო დღეებს, ცვლების შემთხვევაში – ცვლებს შორის დასვენების ხანგრძლივობა არ უნდა იყოს

12 საათზე ნაკლები.

3. მოხელე, რომელიც სამსახურში მიღებულია კონკრეტულ ცვლაში სამუშაოდ, სხვა ცვლაში შეიძლება, გადაყვანილ იქნეს მისი წერილობითი თანხმობით.

4. ცვლიანობის განრიგის ცვლილების შესახებ მოხელეს უნდა ეცნობოს 10 დღით ადრე, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საჯარო ინტერესებს.

5. ცვლიანობის განრიგის შესაბამისად შესრულებული სამუშოსათვის დგინდება თანამდებობრივი სარგო და მისი გამოანგარიშების მიმართ მოქმედებს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის ზოგადი წესი.

6. მოხელის სახელფასო დანამატის საერთო ოდენობა, საკლასო დანამატის გაცემის წესი, ფულადი ჯილდოს ზედა ზღვარი განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზოგადი წესის შესაბამისად.

7. ცვლაში მომუშავე მოხელეს უნარჩუნდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებები, გარანტიები და მოვალეობები.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 აგვისტოს დადგენილება №513 – ვებგვერდი, 20.08.2020წ.